საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის

ბრძანება №52
2025 წლის 1 ივლისი

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს №71 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2019 წლის 16 აგვისტოს №71 ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 16.08.2019, 140130000.22.034.016898) დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის:

ა) პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველო.“;

ბ) მე-6 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს შემადგენლობაშია:

ა) I ოპერატიული განყოფილება;

ბ) II ოპერატიული განყოფილება;

გ) საგამოძიებო განყოფილება.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2025 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრი **გელა გელაძე**